ოთხშაბათი, ივლისის 16 1919 წ. ფასი 1 მ. 50 კ. № 128

ჩვენი ქვეყანა

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

წელიწადი მესამე.

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ ზვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

კანტორა

გაზეთის ფასი: ერთ თვით 1 მ. 50 კ. 3 თვით 75 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 40 მ. 12 საათის შემდეგ 45 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულდამწვარი შვილები იზაბედა სიმონის ასული, რომანი და კლემენტი სიმონის ძენი, რძლები ნინო. ალექსანდრეს ასული, მარიამ სტეფანეს ასული და ნატალია ივანეს ასული; დები: როზა, ანნა ბესარკოვის, ეკატერინე ბუდაგოვსკის, ელისაბედ პისკორსკის და მარიამ გოკიელის აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ—პირველნი საყვარელი დედის, მეორენი დედამთილის და მესამენი საყვარელი დის

ნინი იაკობის ასულის ანდრონიკაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი სამშაბათს, საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა ოთხშაბათს ივლისის 16, საღამოს 5 საათზე. ლევაშოვის ქუჩა. ქაჩუხოვის სახლი. 2—2.

პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოთ.

ქუთაისში, ჩემს სავაჭროში, იყიდება გოგირდი ვენახებისათვის. მსურველს შეუძლია მიიღოს ხელ მისაწდომ ფასებში. იქვე იყიდება ბორეომის წყალი: ყუთობით 260 მანეთად, ბოთლობით თითო ხუთ მანეთად.

6—1. **დავით ქებაძე.**

კურსების გოგირდის აბანო.

ძმ. უგრეხელიძეების (ყოფილი არჯევანიძეების) კურსების გოგირდის წყლის აბანოს სეზონი გაიხსნა 5 ივლისიდან. აბანო არსებობს სოფ. კურსებში არჯევანიძის პლატფორმასთან (ტყიბულის რკინის გზის ლიანდაგი) აბანოსთან მოწყობილია ოთახები და ბუფეტი. წყალი ვანებისათვის ყოველთვის როგორც ცხელი ისე ცივი მზად არის. მატარებლის გაჩერება განახლდა დღეში ორჯერ.

მოიჯარადრეები ძმ. უგრეხელიძეები.

ექიმი ბოკერიას

ქირურგიული და ქალთა სნეულების საავათმყოფოში სამშობიაროს განყოფილებაში ივლისის 6 რიცხვიდან (ახ. სტ.) მუშაობა განახლდა და ავათმყოფების მიღებაც სწარმოებს.

ექიმი მ. ე. ნემსაძე

ღებულობს შინაგან და ვენერიულ სნეულებიან ავადმყოფთ. (609 და 914 შეშხაპუნება) ყოველ დღე დილის 9—12 და საღ. 5—7-მდე. თბილისის ქუჩა. მხეიძის და ნარეშელაშვილის აფთიაქის თავზე.

ქართული გონება.

დამფუძნებელმა კრებამ უკვე მიიღო მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონ-პროეკტი ქართულ ბონების გამოცემის შესახებ. ამ მოკლე ხანში საქართველოს ტერიტორიის საზღვრებში ქართული ბონები იქნება ხმარებაში შემოღებული. უფრო სასურველი იყო არა ნამდვილი ფულის სუროგატის ბონების გამოცემა, კი არა არამედ საკუთარი ფულის სისტემის გაჩენა, მაგრამ როგორც ჩანს საკუთარ ვალიუტის შესაქმნელათ ჯერ არ ყოფილა წიადაგი მზათ. ყოველ შემთხვევაში ბონები წინასწარი პირობა იქნება საკუთარი ფულის სისტემის გაჩენისათვის. ბონების გამოცემას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება, ვინაიდან ყოველ დამოუკიდებელი პოლიტიკურ ერთეულის ერთი დამახასიათებელი ატრიბუტთაგანი საკუთარი ფულის ნიშანია.

ქართველი მოქალაქე და განსაკუთრებით ქართველი გლეხი ამას შემდეგ უფრო მჭიდრო კავშირს იგრძნობს ქართულ სახელმწიფოსთან და ბონებიც ფსიხოლოგიურათ განამზადებს ქართველ გლეხს საქართველოს სახელმწიფოებრიობის მისაღებათ. ეს კი ჩვენი შინაური ფრონტის განმტკიცებასა და გაძლიერებას ხელს შეუწყობს და ამასთან ერთად ჩვენს საერთაშორისო წონასა და ფასს ასწევს.

ქართული ბონები ერთგვარი ბარომეტრი იქნება ჩვენი ფინანსიური სიმტკიცისა და ეკონომიური ჯანსაღობის თუ კი ჩვენი სავაჭრო ბალანსი აკტიური იქნება და მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის პროდუკტები საგარეო ბაზარზე გავიტანეთ და ამავე დროს ჩვენ შინაურ ბაზარზე რაც შეიძლება ნაკლები უცხო სახელმწიფოს წარმოების პროდუკტები გაჩდა. ეს თავისთავად ასწევს ბონების კურსს და მას მეტი მყიდველობითი ძალა მიეცემა.

მაღალ-კურსიანი ქართული ბონები მაჩვენებელი იქნება ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებისა და შრომის ნაყოფიერების გაძლიერების, რაიც თავდები იქნება სახელმწიფოს ფინანსიური მდგომარეობის სიმტკიცის და ამგვარივე კრიზისის შეუძლებლობის.

მეორე მხრივ შესაძლებელია და მოსალოდნელიც, რომ ქართული ბონების კურსი ისე დაეცეს, როგორც ამიერ-კავკასიის ბონების ფასი დაცემულია „კერენკების და ნიკოლოზის ფულთან შედარებით. ასეთი შესაძლებლობის წარმოდგენის უფლებას გვაძლევს საქართველოს დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობა, საწარმოო ძალთა განუვითარებლობა და შრომის ნაყოფიერების საზღვარო დაცემა. ამას გარდა ქართული ბონების კურსის მერყეობას ხელს შეუწყობს ჩვენი გამოურკვეველი საერთაშორისო მდგომარეობაც, ვინაიდან თუ კი ჩვენი დამოუკიდებლობას რომელიმე მხრივ საფრთხე გამოუჩდა, ეს მიზეზს მისცემს როგორც უცხოელს, ისე ჩვენს ვაჭრებს და მრეწველებს ნაკლების ნდობით შეხედონ იმ გარანტიას, რომელსაც ჩვენი სახელმწიფო აძლევს მათ.

ამნაირათ ქართული ბონების კურსის სიმტკიცე დამოკიდებულია ეროვნული შრომის ნაყოფიერებაზე, ვაჭრობა-მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის განვითარებაზე. თუ კი გვინდა ქართული ბონების კურსმა ერთგვარი წონასწორობა მაინც შეინარჩუნოს და სახელმწიფო არ გახდეს იძულებული საბეჭდავ მანქანას მიმართოს აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლ, ჩვენმა მთავრობამ რეალური ზომები უნდა მიიღოს მრეწველობის ასაყვავებლათ და მთავრობის ეკონომიურმა და ფინანსიურმა პოლიტიკამ წინასწარი პირობები უნდა შექმნას შრომის ნაყოფიერების გასაძლიერებლათ.

ევროპის ეკონომიური მდგომარეობა.

დ. დ. ღამბაშიძის მოხსენება ფინანსთა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში.

ინგლისიდან ახლად ჩამოსულმა საქართველოს ელჩმა დ. დ. ღამბაშიძემ 11 ივლისს საღამოს 7 საათზე ფინანსთა სამინისტროს დარბაზში მოხსენება გააკეთა ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

კრებას დაესწრენ: მინისტრი კ. კანდელაკი, სახელმწიფო კონტროლიორი ფ. გოგიჩაიშვილი, დეპარტამენტის დირექტორები: დ. აფხაზი და ს. ჭანტურიშვილი, განყოფილების უფროსები: სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრები, ყოფილი ფინანსთა მინისტრი გ. დ. ჟურული, ნ. ნიკოლაძე, დამფუძნებელი კრების წევრები და სხვა მაღალ თანამდებობის პირნი.

მომხსენებელმა პირველ ყოვლისა დამსწრეთ გააცნო ის რევოლიუცია, რომელიც სრულებით შეუმჩნეველად გატარდა ინგლისში.

მსოფლიო ომმა ამ ქვეყანაში უმაღლეს წერტილამდე აიყვანა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, ინდუსტრიის ზრდა. თანამედროვე ჯარი იმდენად რთული ორგანიზმი გამოდგა, რომ მან მოითხოვა ყველაფერი პატარა ქინძისთავებიდან დაწყებული უდიდეს ავტომობილამდე. ყველა ამის დაკმაყოფილებამ გამოიწვია სახელმწიფოს ცალკე სამრეწველო რაიონებათ დაყოფა და მისი სახელმწიფოს კანტროლ ქვეშ დაყენება.

ინგლისს ამ ჟამად განსაკუთრებული ალაგი უჭირავს ევროპის სახელმწიფოებთა შორის. მას აქვს უდიდესი ქარხნები, რომლებიც გაცილებით მეტს საქონელს აწარმოებენ ვიდრე ეს მისთვისაა საჭირო, და ამ ზედ მეტ საქონელს იგი ანაწილებს ყველა სხვა სახელმწიფოებთა შორის.

ინგლისს დღეს ყველაფერი ბლომათ მოეპოება.

ერთად ერთი ნაკლულება, რომელსაც იგი განიცდის გახლავთ ტყავი და ნედლი მასალის სიმცირე; უკანასკნელის გამოსასწორებლათ პარიზში მათ დააარსეს ეგრედ წოდებული უმაღლესი ეკონომიური კომიტეტი. მათ ჩინებულათ მოაწყეს კანადელების კორპუსებით არხანგელისკიდან ხე-ტყის მასალის გაზიდვა, რაც ამ ჟამად დიდ სიმდიდრეს შეადგენს დიდ ბრიტანეთისათვის.

სავაჭრო გემების დაღუპვა თვალსაჩინო დანაკლისი ინგლისისათვის, რითაც მისი ტონაჟი ორმოცდა ათი % შემცირდა, მაგრამ გერმანიის ჩამორთმეულ გემებით ინგლისმა ეს დანაკლისი 30% შეავსო და თვითონაც ააშენა 35% დანაკლის გემებისა. ამ გემებით ინგლისი დღეს აწარმოებს ვაჭრობას სხვადასხვა სახელმწიფოებთან. გააქვს დიდ ძალი ქვა-ნახშირი, რომლის ექსპორტიც შეუდარებლათაა მოწყობილი.

საფრანგეთის ეკონომიური მდგომარეობა ინგლისთან შედარებით ძალზე ცუდია. ამის მიზეზი საფრანგეთის ტერიტორიის აოხრებაა გერმანიის ჯარების მიერ. გერმანელ კორპუსების უფროსებს მთავრობიდან პირდაპირ ნაბრძანები ჰქონდათ, რათა დაჭერილი ქვეყნები სრულიად დეცალა ინდუსტრიისაგან. ამ მსრივ მათ კიდეც მიაღწიეს მიზანს: ჩრდილოეთ-საფრანგეთი მიწასთან გაასწორეს წარმოების მხრივ.

დაჭერილ ქვეყნებში ინდუსტრიის განადგურებასთან, გერმანელები დიდ ყურადღებას აქცევდნენ კოოპერატივებს და დიდ დახმარებას უწევდნენ მათ: ასე გასინჯეთ, სურსათის განაწილებაც კი მიანიჭეს მათ.

ინდუსტრიის განადგურებამ საფრ. ჩრდილოეთ ნაწილში გამოიწვია უმუშევრობა, რაც თვალსაჩინო გახდა ომის გათავების შემდეგ; ამერიკამ ამ გარეგარეობას მიაქცია ყურადღება და აამუშავა ელზას-ლორენის დახურული მაღაროები, რამაც ძალზე შეამცირა უმუშევართა რიცხვი.

იტალიის ეკონომიური მდგომარეობა გაცილებით უკეთესია საფრანგეთთან შედარებით. მან ევროპას მისცა საუკეთესო მექანიკოსები; იტალიის ავტომობილები მოწონებაში არიან როგორც ევროპაში, აგრეთვე ამერიკაშიც.

რუსეთის სამხედრო ამუნიციის დაკვეთამაც დიდათ შეუწყო ხელი იტალიის ინდუსტრიის ზრდას. 45 ახალი ქარხანა დაარსდა ამ დანაკვეთების შესასრულებლათ.

ომის განმავლობაში მანვე ძალზე განავითარა აგრეთვე სართავი ქარხნები და სხვანი.

ჩვენთვის იტალიას ექსპორტში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია. გარდა ამისა რომ მათი ვაჭრები კომერსანტები მეტად ზრდილნი და მიმზიდველნი არიან, მათ ჯარში აქვთ მოწყობილი კაბინეტები, რომლებიც ერთი ჯარს აწვდის სურსათს, მეორე კი მცხოვრებს.

ყველაზე უკიდურეს მდგომარეობას ეკონომიურის მხრივ ავსტრია განიცდის. უდიდესი მათი ქარხნები (სკოდის ქარაანა) ჩეხებს ჩაუვარდათ ხელში, რომლებიც ამ ჟამად შეთანხმების სახელმწიფოთა კანტროლის ქვეშ იმყოფება.

გერმანიაშიც დიდი გადატრიალება მოხდა ეკონომიკის სფეროში რევოლიუციის შემდეგ. მუშებმა წამოაყენეს ისეთი დიდი ხელფასი, რომ ქარხნებმა მას ვერ გაუძლეს და დაიხურენ. შემდეგ ისევ გამოასწორეს ეს შეცდომა და დააწესეს მინიმუმი ხელფასისა და აამუშავეს ქარხნებიც; მაგრამ ნედლი მასალის სიმცირის გამო მათი ნაყოფიერება ძალზე შემცირებულია, რის გამოც გერმანიას აღარ შეუძლია ახლო მომავალში ბაზარზე იმ საქონლის გამოტანა, გარდა სამკურნალო და სამკაულო ნივთებისა, რომლებიც საჭირონი არიან თანამედროვე საზოგადოებისათვის.

სულ სხვა მდგომარეობაში არიან დღეს ევროპის **ნეიტრალური** სახელმწიფოები. ისინი მთელი ომის განმავლობაში უანგარიშოთ ხელეტდენ ფულს. გერმანიის სამხედრო დაკვეთამ შვეიცის ინდუსტრია 25 ჯერ გაზარდა, ნორვეგიის კი 5 ჯერ. ასეთივე ბედი ეწვია ისპანიას და სხვებს. ამ ქვეყნებს შეუძლიათ დიდძალი საქონლის გამოტანა მსოფლიო ბაზარზე.

ამის შემდეგ მომხსენებელი შეეხო იმ საკითხს თუ რა გავლენა იქონია მუშათა საკითხზე ინდუსტრიის ასეთმა ზრდამ და აღნიშნა, რომ ომმა ქალებს დააკისრა მეტად მძიმე სამუშაოების წარმოება; ისინი ხნავდენ, მაღაროებს თხრიდნენ, რკინის გზებში მუშაობდენ, ორთქლმავალზე ისხდენ და ასეთმა მათმა საქმიანობამ დიდათ შეუწყო ხელი ომის გახანგრძლივებასო. დღეს ინგლისში სამი მილიონ ნახევარი ქალი მუშაობს მამაკაცის სამუშაოზე.

ამის გარდა, ხელფასის აწევამ მუშებში გამოიწვია მათი გამდიდრება, უკანასკნელმა კი—კომფორტის საყვარულო. ისინი ეტანებიან ისევ ძვირფას სამკაულებს და საპირფარეშო საგნებს, რაც სხვებისათვის ის ამ ჟამად სრულიად მიუწდომელია.

ინგლისელ მუშებმა დიდ ძალი ფული დააგროვეს აგრეთვე შემნახველ კასებში, რის გამოც სახელმწიფოს სრულებით არ დასჭირვებია გარეშე სესხის აღება და ამ კასებიდან მიღებულ შინაურ სესხით აკმაყოფილებდენ ომის საჭიროებას.

დასასრულ ორატორმა გააცნო კრებას თუ რის გაკეთება შეუძლია ჩვენთვის ევროპას და სთქვა, რომ ევროპა დღემდე გარეულია დემობილიზაციით, მთელი გემები მათ უნდებოდათ, და აწი ჩვენსა და ევროპას შორის დაახლოვება შესაძლებელიათ.

კონსტანტინოპოლში საქონელი იმდენია, რომ საქართველოს ორმოც წელიწადს ეყოფა, მხოლოდ ბონებს იქ არ ღებულობენ, ნედლი მასალის გასატანი კონცესიები ჩვენ არ მოგვეპოება და არც ხელსაყრელია ამ პირობებში იგი ჩვენთვის.

ეკატერინე ნიკოლაძისა, ელისაბედ ჯანგავაძე, თომა ლორია და ილია ნიკოლაძე შვილებით იოსებ დ. დარისპან შენგელიები ცოლშვილით, პასიკო გიორგაძისა თავისი ქმარშვილით, მაგდანა ივანეიშვილისა შვილებით ოლია ნარეშელაშვილისა შვილებით, პავლე და გიორგი ჯანგავაძეები გულითადის ძწუხარებით გაუწყებენ რა გარდაცვალებას პირველნი ქალიშვილები, მეორენი სიძეები, მესამენი დები, მეოთხენი ძმები, მეხუთენი მაზლები და შეექვსე მული

ივლიტე სიმონის ასულისას ჯანგავაძისას

უმორჩილესად გთხოვთ პატივსცეთ და მობრძანდეთ მიცვალებულის გამოსვენებაზე თავის საკუთარ სახლიდან, ივანოვის ქუჩაზე, საღორიის სასაფლაოზე 17 ივლისს (ახ. სტ.) დღით ხუთშაბათს ნაშუადღევის 3 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 ს. 1—1

რათა ჩვენ გამოვიყენოთ კონკურენცია დიდი სახელმწიფოების, რომელიც სტამბოლში მოსალოდნელია ჩვენ აუცილებლად უნდა მოვიწვიოთ ექსპერტები ეკონომიურ საკითხების მოსაწყობათ. ამასთანავე საჭირო ა ყველაფერში ეკონომური სიფრთხილე გვქონდეს. ჩვენს მადნეულობებს: მარგანეცს, სპილენძს და სხვებს დიდ ყურადღებას აქცევენ ევროპაში და ამით ჩვენთვის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენს საბაჟოებს, რათა ისინი უკრთამოთ ასრულებდნენ კეთილ სინდისიერათ თავის მოვალეობას. საჭიროა საზღვრებზე თარჯიმნების ყოლა და სადარაჯო ყარაულების უფრო წესიერათ შემოსვა. ჩვენი ყურადღება უნდა მექცეს აგრეთვე ბათუმსაც.

მოხსენების შემდეგ მას რამდენიმე შეკითხვები მისცეს, რომლებზედაც ვრცელ განმარტებას იძლეოდა მომხსენებელი. თავის განმარტებაში მან სხვათა შორის სთქვა, რომ ევროპაში ქაღალდის ფულის განაღდებას ოქროთი არავინ არ ფიქრობს და აპირებენ ჩეკების სისტემის შემოღებას, რომელიც ინგლისში ახლაც ხმარებაში შესულიო.

ნასიამოვნები კრება 10 საათზე დაშალა.

საქ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მესამე კონფერენციის რეზოლიუციები.

(შემდეგი)

რეზოლუცია ბ-ნ ა. ასათიანის მოხსენებაზე.

საქ. ეროვნ. დემ. პარტიის მესამე კონფერენციამ, მოისმინა ა. ასათიანის მოხსენება შესახებ მუშათა საკითხის მდგომარეობისა საქართველოში და დადგინა:

ცალმხრივ და უკიდურესი პოლიტიკის წარმოებამ შრომის საკითხში დიდათ დაზიანა საქართველოს ისედაც სუსტი და განუვითარებელი წარმოება. შრომის ნაყოფიერების საოცარი დაცემა ჰქმნის საყოველთაო სიძვირეს და ეკონომიურს კრიზისს. საწარმოო ძალთა შებოჭვა და შემცირება კი იწვევს ქვეყნის დაღარიბებას და თვით მშრომელთა მდგომარეობის გაუარესებას.

მთელი ერისა და თვით დაქირავებულ მუშათა რეალური ინტერესები მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ გადასინჯული და შეცვლილი იქმნას რევოლუციის დროს გამოცემული დეკრეტები შრომის შესახებ და შემუშავებულ იქმნას ისეთი პირობები შრომისა, რომელიც საწარმოო ძალთა განვითარებას და აღორძინებას ხელს შეუწყობენ.

რეზოლიუცია ბ-ე ექ. თაყაიშვილის მოხსენებაზე: საქართველოს ტერიტორია.

საქართველოს ერ.-დემ. პარტიის მესამე კონფერენციამ მოისმინა ბ-ნ ექ. თაყაიშვილის მოხსენება საქართველოს ტერიტორიის შესახებ და დაასკვნა:

კონფერენცია აღნიშნავს, რომ იგი მტკიცედ დგას თავის ძველ ტერიტორიულ პროგრამაზე და ავალებს პარტიულ პრესას, მთავარ კომიტეტს და საპარლამენტო ფრაქციას ყოველგან და ყველასთან შეუდრეკელის სიმტკიცით დაიცვას იგი.

რეზოლიუცია აფხაზეთის დელეგაციის მოხსენებაზე: აფხაზეთის მდგომარეობა.

საქ. ეროვ. დემ. პარტიის მესამე კონფერენციამ მოისმინა აფხაზეთის დელეგაციის მოხსენებები აფხაზეთისა და აფხაზეთში საქართველოს სახელმწიფოებრივი მდგომარეობის შესახებ, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მთავრობის პოლიტიკა პსიხოლოგიურად და პოლიტიკურად აშორებს საქართველოს მის ისტორიულ მეგობარს და კულტურულ პოლიტიკურად თანამშრომელ აფხაზის ხალხს და რომ მთავრობის პოლიტიკამ მისცა ამ უკანასკნელს მრავალი საბუთი, როგორც თავისი საერთო ცთომილი პოლიტიკით ისე აფხაზეთში ყოვლად მოუმზადებელ პირობების დანიშვნით საქართველოს წარმომადგენელის მაღალ თანამდებობაზედ, უკმაყოფილო იყოს და წინააღმდეგობაში ჩაგვიდგეს. კონფერენცია უპირველეს და უსწრაფეს საჭიროებად სთვლის ამ პოლიტიკას ძირითად შეცვლას და ყოველ ზომას მიიღებს იმ აფხაზის ხალხთან დასაახლოვებლად, რომელსაც ჩვენთან გულწრფელი მეგობრობა სწადიან. კონფერენცია ავალდებულებს პარტიულ პრესას, მთავარ კომიტეტს და საპარლამენტო ფრაქციას ამ მიმართულებით ფართო და ენერგიული მოქმედება აწარმოვოს.

კონფერენცია ავალებს აფხაზეთში მუშაობა განსაკუთრებული ზრუნვის საგნად გაიხადოს.

რეზოლიუცია ბ-ნ სპ. კედიას მოხსენებაზე: პოლიტიკურ პარტიების ურთიერთობასა და არა სოციალისტურ დემოკრატიულ პარტიების შეერთების შესაძლებლობაზე.

საქ. ეროვ.-დემ. პარტიის მესამე კონფერენციამ მოისმინა ბ-ნ სპ. კედიას მოხსენება შესახებ პოლიტიკურ პარტიების ურთიერთობისა და არა სოციალისტურ დემოკრატიულ პარტიათა შეერთების შესაძლებისა და დაადგინა:

კონფერენციამ მიიღო რა სახეში ის წინასწარი მუშაობა, რომელიც მიმართული ყოფილა საქართველოში მომქმედ სამ არა სოციალისტურ დემოკრატიულ პარტიის: ეროვნულ-დემოკრატების და უპარტიოთა კავშირის—გასაერთიანებლად საერთო დემოკრატიული საფუძვლებისა და კერძო საკუთრების პრინციპის ნიადაგზე და ის ფაქტი, რომ ამგვარი გაერთიანების საჭიროება ყველას თანახმად უგრძნია, — მიიღო რა ყოველივე ეს სახეში, კონფერენცია სასურველად და პოლიტიკურად მიზანშეწონილად სცნობს ერთ პარტიაში ყველა, იმ მიმდინარეობათა მოქცევას, რომელნიც მტკიცედ იცავენ სახელმწიფოების დემოკრატიულ საფუძვლებს და კერძო საკუთრების პრინციპებს. კონფერენცია ავალებს მთავარ კომიტეტს შესაფერისად იმოქმედოს ამ დაწყებული მუშაობის დადებით დაბოლოებისათვის. შეერთების ტეხნიკა და ფორმა გადასჭრას თვით მთავარმა კომიტეტმა პარტიის ორგანიზაციის და მისი ძირითადი იდეოლოგიური საფუძვლების დაუზიანებლად.

(დასასრული ხვალ)

გათუმში.

ბათუმში ბოლო დროს მოხალისეთა გავლენა მეტად შესუსტდა. ღამბაშიძის ჩასვლის შემდეგ ბათუმში ინგლისელებისა და ქართველთა ურთი ერთობა შეიცვალა. ჭოროხზე რუსეთის დროშის მოხსნა და მოხალისეთა ჯარის ნოვოროსისკში წარგზავნამ ქართველთა სულიერი განწყობილება მეტად ასწია. ამას ზედ დაერთო საქართველოს ვალუტის აწევაც კონსტანტინოპოლიდან ჩამოსული ვაჭრები ამიერ-კავკასიის ბონებზე დიდის სიამოვნებით ჰყიდიან საქონელს. ბათუმის ქართველობა მოუთმენლად მოელის დასკვნას ამ მოვლენათა განვითარებისას, ამის გარშემო ბათუმის ოლქის მცხოვრებლებში ხმებიცაა გავრცელებული ვითომც ახალო მომავალში ბათუმი უნდა საქართველოს ადმინისტრატიულად დაუქვემდებარდეს.

ბათუმიდან ჩამოსულ პირთა ცნობით ამ ჟამად იქ სდგას იტალიის გემი 22.000 იტალიელ ჯარის-კაცით. ჯარი გემიდან ჯერ არ გადმოუსხამთ.

ხარკოვის აღება ბოლშევიკების მიერ.

მოხალისეთა შტაბის საინფორმაციო ბიურო „ოსვაგი“ იტყობინება:

„მკათათვის 8-ს სტრატეგიული მოსაზრებით ჩვენმა ჯარებმა დასტოვეს ხარკოვი. ჯარები დავწიეთ წინდაწინვე სადგურ „მერეფასთან“ მომზადებულ პოზიციებზე. წითლებმა თავი მოიყარეს კოლჩაკის ფრონტზე განთავისუფლებულ ჯარს და გადამწყვეტი შეტევა დაიწყეს მთელ სამხრეთის ფრონტზე.

სომხების პროტესტი

სომხების სათვისტომოთა ცენტრალურ საბჭოს გადაუწყვეტია გამართოს მიტინგი, რომელზედაც გამოტანილი იქნება პროტესტი იმ პროვოკაციის წინააღმდეგ, რომელსაც ეწევიან უპასუხისმგებლო ელემენტები თითქო მოკავშირეებს გადაეწყვიტოს ბათომი სომხებს გადასცეს, სომხები მოითხოვენ უარყოფილ იქნას ეს ხმები, როგორც შურის დამთესი. ამ ხმებს არავითარი ნიადაგი არ აქვს და არც შეიძლება ქონდეს, ეს მხოლოდ ორ ხალხთან ერთმანეთზე გადასაკიდებლათ არის მოგონილი.

ახალი ამბავი

აბრეშუმის პარკი. ქუთაისის ბაზარზე აბრეშუმის პარკი უკვე შემოვიდა. ფუთი პარკი გუშინ ქუთაისის ბაზარზე ფასობდა 450—900 მანეთამდის. პარკის ფასის ასეთი სიიაფე იმით აიხსნება, რომ არ არიან მყიდველები, პარკს ისევ სოფლის გლეხები ყიდულობენ ძაფის ამოსაღებათ.

✦ **გამოფენა** ქუთაისში ამ დღეებში გაიხსნება ქართველ მხატვართა გამოფენა.

✦ **შინაგან საქმეთა ადმინისტრაციის** ინსპექტორი ს. გეგელაშვილი თბილისს გადაიყვანეს მალალ თანამდებობაზე.

✦ **საღამო-სეირნობა.** შაბათს, 19 ივლისს წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებლის ბაღში ამავე სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ გაიმართება დიდი სეირნობა საღამო.

✦ **ჭარნახულის მოსავალი დასავლეთ საქართველოში.** როგორც სოფლებიდან გვატყობინებენ წელს ჭირნახულის მოსავალს ცუდი პირი უჩანს. სოფლად ჭირნახული ძალზე გაძვირდა. ვენახების წახდენის გამო ღვინის ფასმა საგრძნობლად აიწია. საპ ლნე ღვინო ადგილობრივად 3000 მანეთი ფასობს.

✦ **დასავლეთ საქართველოს სახალხო სკოლების** მასწავლებელთა კავშირის მთავარი გამგეობა, იღებს რა მხედველობაში მასწავლებელ ჭკადუაზე აღძრულ საჩივრის გამორკვევის აუცილებლობას, აუწყებს **არდევან არჩილისძე ჭკადუას,** რომ ის ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს სახალხო მასწავლებელთა კავშირის მთავარ გამგეობის თავმჯდომარე ვ. იმნაძესთან, მასზე წამოყენებულ საჩივრის პასუხსაგებათ. მისამართი: ქუთაისი მესხეთის ქუჩა-ქალთა მეორე გიმნაზია.

ამასთან ერთად მასწავლებელთა კავშირის მთავარი გამგეობა წინადადებას აძლევს ყველა იმ წევრთ, რომელთაც კავშირის თავისუფალ თანხიდან წაღებული აქვთ მოკლე ვადიანი სესხი, ეს სესხი დაუბრუნონ კავშირის მთავარ გამგეობას ვინაიდგან ფრიად ხშირია მომართვა უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ მასწავლებლებისაგან მთავარ გამგეობისადმი, რათა ამ უკინასკნელმა აღმოუჩინოს მათ ამა თუ იმ სახის დახმარება, რასაც მთავარი გამგეობა, უსახსრობისა გამო, ვერ აკმაყოფილებს.

ქართველ მხატვართა გამოფენა.

გუშინ ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ცნობილი მხატვარი მოსე თოიძე თავისი პატარა შვილით (მხატვარია) ირაკლით.

ბ. თოიძემ ქუთაისში ჩამოიტანა სხვადასხვა მხატვრების სურათები და ამ დღეებში ქუთაისში გამოფენას მოაწყობს. ინიციატივა გამოფენისა და ყოველგვარი ხარჯები ბ. თოიძეს უკისრია. მთავრობა მხოლოდ ვაგონის დათმობით ეხმარება.

როგორც ბ. თოიძემ გადმოგვცა გამოფენა ქუთაისში გაგრძელდება 8 დღეს საიდანაც გაემგზავრება: ფოთს, სამტრედიას, ბათომს, ყვირილას, ბორჯომს, გორს, თელავს და ყველა დაბა-ქალაქებში სადაც კი მატარებლები მიდის.

ჯერჯერობით ქუთაისში ჩამოტანილია გამოფენისათვის შემდეგი მხატვრების სურათები: მოსე თაიძის, ლ. გუდიაშვილის, დ. კაკაბაძის, ნიკო ფიროსმანაშვილის, ირაკლი თოიძის, ვ. ჯორჯაძის, ე. ახვლედიანის, თამარ თავაძის, ი. ნიკოლაძის. ამ მხატვართა სურათების გარდა გამოფენილი იქნება ადგილობრივ ძალთა სურათებიც, როგორც გრიგოლ მესხის, ისე სხვების.

„შევარდენი“.

გუშინ რეალურ სასწავლებელში, დანიშნული იყო დამფუძნებელი კრება და დაარსება დასავლეთ საქართველოს პირველი „შევარდენთა“ საზოგადოების. ვინ არ იცის თუ რა, მნიშვნელობა აქვს „შევარდენის„ დაარსებას, ეს არც ისე უმნიშვნელო აქტია ჩვენს ცხოვრებაში, როგორც ზოგიერთს, ეგონება ვინ არ ამჩნევს, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა მოჩიავებული და ღონე მიხდილია, თუ წინეთ ვაჟკაცები ხშირი იყო, დღეს ისინი თითით საჩვენებელნი არიან. სტყუვდებიან ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ ისეთი სანეტარო დრო დადგება, როდესაც ხალხთა შორის კეთილი განწყობილება ჩამოვარდება და გუშინდელი მტრები ჩვენ თავზე ხელის სრბას — ვაგვიყენებენ. საკმაერები იარსებებს, მათ შორის უთანხმოებებაც მოსალოდნელია და თუ გსურთ სხვა ერების მიერ დამონებული არ იქნეთ-უნდა გყავდეთ ფიზიკურად ძლიერი და გაწრთვნილი ახალგაზრდობა. დღეს თუ ჩეხეთი მძლავრად და უზრუნველყოფილად გრძნობს თავის თავს-ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვისთ „შევარდნებს“, აუარებელმა „შევარდენთა“ საზოგადოებებმა გამოაღვიძეს ჩეხები და თუ იქ 24 საათში ხდება მობილიზაცია და მთელი ჩეხეთი ფეხზე სდგება, როგორც ერთი კაცი, ამაშიაც ღვაწლი „შევარდნებს“ მიუძღვისთ საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩეხების მთელ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობენ „შევარდნები“, აქ დიდი და პატარა თავის გონებრივ განვითარებასთან ერთად ფიზიკურ განვითარებასაც ეწაფება. ყოველ სამ წელიწადში ერთხელ, ქ. პრაგაში, ხდება „შევარდენთა“ „ჩამოფრენა“, სადაც თავს იყრიან 15—15 ათასამდე „შევარდენი“, და ეს არა იმიტომ, რომ მათ, მაინცა და მაინც, ეხალისებოდესთ მხოლოდ თამაში და ვარჯიშობა, არამედ იციან თუ რა მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ გაწრთვნას ერისათვის.

მეორე მაგალითად შეგვიძლია შეეცია მოვიყვანოთ, სადაც აგრეთვე დიდ ყურადღებას აქცევენ ფიზიკურ გაწრთვნას საერთოდ კი მთელ ევროპაში შესაფერ ყურადღებას აქცევენ ამ საგანს და აქ კი, საქართველოში, რომელიც შემორტყმულია მრავალ შეურიგებელ მტრებით, აი აქ „შევარდნობა“ უსაქმოობის ნაყოფად მიაჩნიათ. კერძოთ მთავრობა სიმპატიურად უყურებს ამ საკითხს და შეძლებისა დაგვარად ხელს უმართავს, საზოგადოებას კი არ ეპატიება, რომ ასეთ საგულისხმო საქმეს ხელი არ შეუწყოს. სხვას რომ თავი დავანებოთ გადახედეთ იმ პირობებს, რომელშიაც დღეს უმრავლესი თქვენგანი სცხოვრობს; ქალაქის დახუთული, მტვერიანი ჰაერი, უსუფთაო ქუჩები და ხშირად ბინძური ბინები, უმოძრაობა და მრავალი სხ. ქმნიან ისეთ პირობებს, რომ თქვენ მალე ავათმყოფდებით და ადვილად ემორჩილებით ყოველ-გვარ სენს. საჭიროა მოძრაობა, საჭიროა ვარჯიშობა, რის შემდეგ ყოველი თქვენგანი აუწერელ ცვლილებას იგრძნობს ეს საკითხი ისეთ მცნებათ მიგვაჩნია, რომ ამაზე ლაპარაკი, ჩვენი აზრით ზედმეტია.

მაშ მივესალმოთ „შევარდენს“ ჩვენს მომავალ იმედს, რომელმაც უნდა გაწრთვნას ახალგაზრდობა — მომავალი იმედი ერისა. გაუმარჯოს „შევარდენს“, გაუმარჯოს მის დამაარსებელს ბ — ნ ი. გაბაშვილს და მის თანაშემწეებს, რომელთაც ასეთი სიმპატიური საქმე გამოიწყეს. ჩვენი ვალიაკი ხელი შეუწყოთ, მათ ამ ფრიად საგულისხმო საქმეში.

„შევარდნების“ მეგობარი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

მატარებლების საზაფხულო მიმოსვლა.

1919 წ. 1 ივლისიდან.

ქუთაისში მოდის.

თბილისიდან.

პირდაპირი	№ 3—5 ს.	და 50 წ.	დილით
ჩქარი	№ 1—7	— 80—	—
საფოსტო	№ 3—7 ს.	— 40—	საღამ.
სამგზავრო	№ 15-1 ს.	— 50—	ღამით

ბათომიდან.

პირდაპირი	№ 72—1 ს.	და 30 წ.	დღით
სამგზავრო	№ 6—5 —	— —	დილ.
ჩქარი	№ 2—1—	— 50 წ.	ღამ.

ფოთიდან.

პირდაპირი	№ 36—8 ს.	და 28 წ.	დილ.
საფოსტო	№ 4—12 ს.	— 55 წ.	—

ტყიბულიდან.

სამგზავრო	№ 81—10 ს.	და 20 წ.	დილ.
საფოსტო	№ 3— 5 ს.	— 30 წ.	საღ.

ქუთაისიდან გადის.

თბილისისაკენ.

პირდაპირი	№ 12 -11 ს.	და 47 წ.	საღამ.
ჩქარი	№ 2—10 ს.	და 2 წ.	საღამ.
საფოსტო	№ 4—10 ს.	— 10 წ.	დილ.
სამგზავრო	№ 6 — 3 ს.	— 17 წ.	ღამით

ბათომისაკენ.

პირდაპირი	№ 44—4 ს.	და 40 წ.	დღით
სამგზავრო	№ 5 3 ს.	— 30 წ.	ღამით
ჩქარი	№ 1—6 ს.	— — წ.	დილ.

ფოთისაკენ.

პირდაპირი	№ 35—3 ს.	და 25 წ.	დღით
საფოსტო	№ 3—5 ს.	და 50 წ.	დილ,

ტყიბულისაკენ.

საფოსტო	№ 4—7	საათზე დილას.
სამგზავროს	№ 82—	4 წ. საღამოს.

საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით.